საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეხიჯვარი

კეხიჯვარი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მდ. ძამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ვედრება, თათანაანთუბანი, კლდუ, კრობანი, სამწევრისი, სანებელი, ქობესაანთუბანი). ზ. დ. 680 მ, ქარელიდან 6 კმ. 919 მცხ. (2014).

სოფლის სასაფლაოზე დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.